სახალხო გაგეთილი

სურათებიანი დამატება
გაზეთის № 711

დამატების № 125

კვირა, 30 სექტემბერი 1912 წ.

„მწყემსმან კეთილმან თავი თვისი დასდო ცხოვართა თვისთათვის“.

ქანდაკება.

სიჩუმის გოდოლი

ისტორიული მოთხრობა

ვ. პესგუდისა.

„რა კარგი იქნებოდა, ილისს, ასეთი ფრთები რომ გვქონდეს! მე და შენ ავფრინდებოდით მაღლა, გავსცურავდით ღრუბლებთან ერთად. არავისაგან ნებართვას არ ავიღებდით ჩვენი სამშობლოს მიტოვებაზე, როგორც ეხლა მოითხოვს ამას თავის ქვეშევრდომებისაგან სისხლის მსმელი და ულობელი მტარვალი ტირის, ძმის მკვლელი ფალეს, მხეცი, ადამიანის სახით.

— დაჩუმდი, მირბალ, გაფიცებ ყველა წმინდანებს! ჩუმად! ეგეთი სიტყვებისათვის ტირის მპყრობელზე არა ერთი გამოეთხოვა სიცოცხლეს!

— ჩვენ ხომ ყურს არავინ გვიგდებს, ილისს, სახლში ვართ! გაიგონე, უნდა გიამბო ჩემი ოცნებები, ილისს!

„მე ღრამადა ვარ დარწმუნებული, რომ ტირის მცხოვრებნი დიდხანს ვერ გაუძლებენ ძმის მკვლელი ფალესის ბოროტებას. დადგება შურისძიების დღე და იმის უფლებებს ბოლო მოეღება. გამცემის ლეშს დააგდებენ ქალაქის კედელთან და ძაღლები დაიწყებენ ჩხუბს იმის ძვლებზე!

„დადგება განკითხვის დღე ფალესის ქალიშვილის იეზაველისთვისაც, იმ მხეცისთვის, მშვენიერის სახით. თავისივე მონები, რომლებიც ეხლა იმის ყურმოჭრილნი ყმები არიან, გამოაძევებენ მდიდარ ფალესის სასახლიდან. მაძებარ ძაღლების გროვა ემონება თავის მტარვალს, სანამ ის არ დაცემულა მიწაზე, და თუ დაეცა - დაესევიან და დაჰგლეჯენ იმას.

„იეზაველსაც შემოაგლეჯენ ოქროთი ნაკერ ტანისამოსს. შიშველი, თავის აბაჯი ტანით, დაიწყებს სირბილს მტვრიან ქუჩებში. დასცინებენ, სცემენ ისინი ვინც გააძევა, იმის ბძანებით დახოცილის ნათესავები და პატრონები, დაქირავებულ მკვლელებისაგან უდროოდ ამ ქვეყანას მოშორებულების მშობლები.

„დიახ, დიახ, დადგება ასეთი დღე, ილისს? თუ არა და არც ქვეყნად ყოფილა ღვთიური სამართალი.

— ნუ ლაპარაკობ ეგრე, გთხოვ, ჩემო საყვარელო!

— კარგი, ჩემო ილისს, აღარ ვილაპარაკებ! მხოლოდ კიდე ორი სიტყვა.

„მრწამს, რომ ძმის მკვლელ ფალესისათვის და იმის ბოროტი ქალისათვის დადგება განკითხვის დღე, იმიტომ რომ იმათი ბოროტ-მოქმედება გამოუთქმელია, იმათგან ჩადენილ უსამართლობას სახელი არა აქვს. იმათ დაჰლუპეს დიდებული ტირი, ძლიერი სახელმწიფო, კულტურის დედა-ქალაქი.

„მაგრამ სამწუხაროდ გაივლის დიდი ხანი, სანამ ეს სანატრელი დღე დადგებოდეს.

„რა კარგი იქნებოდა, რომ ჩვენ, უფლებას და შემწეობას მოკლებულებს, ფრთები გვესხას. მივატოვებდით ჩვენს საბრალო, დაჩაგრულ ქალაქს და მხოლოდ მაშინ დავბრუნდებოდით, როდესაც ფალესს და იეზაველ ცოცხალი აღარ იქნებოდნენ და ქვეყნად თავისუფლება დამყარდებოდა.

„მოვაგროვებდით ჩვენთვის აუცილებლად საჭირო ნივთებს, გავიდოდით ზემო სართულის აივანზე და იქიდან გავფრინდებოდით, გავსცურავდით ჰაერის ოკეანეს ზვირთებში, სადაც ვერ მოგვწვდებოდნენ ლივიელნი, ფალესის დაქირავებული მკვლელნი და იეზაველის ჯაშუშნი.

— საით გავფრინდებოდით, მეგობარო? — ოცნებით ჰკითხა ქალმა და ლამაზი თავი ნაზად დაადო საქმროს მძლავრ მხარზე.

— ქვეყანა დიდია, ჩემო კარგო! — უპასუხა მირბალმა. — ქვეყანა ასე მშვენიერია?

„ჩრდილოეთისაკენ არის მხარე, სადაც ჩამოდის ძლიერი მდინარეები და დედა-მიწა დაფარულია დაბურული ტყეებით. იგი სავსეა ყოველნაირ მხეცებით. იმ ტყეში თავისუფლად დათარეშობს გარეული კამეჩი. ზამთარში, როდესაც თოვლი ჰფარავს დედა-მიწას, კამეჩებს დასდევენ მთელი გროვა გარეული ძაღლებისა, რომლებსაც სახელად მგლებს უწოდებენ, მაგრამ ტყის მხეცი თავის წვეტიანი რქებით იგერებს გარშემოსეულ მტრებსა.

„ამ ტყეში, გრიგალისაგან წაქცეულ ხის ფესვებთან, ფუღუროებში, სძინავს მძვინვარე ქეჩოიან დათვს, შესახედად უშნოა, მაგრამ სწრაფია მაიმუნსავით.

— განა საშიში არ არის იმ ტყეში, მირბალ? — შეკრთომით წარმოსთქვა ქალმა და ახლოს მიუჯდა თავის საყვარელს.

— საშიში? — სიცილით ჰკითხა მან. — განა მე არ ვიცი იარაღის ხმარება ყველაზე უკედ მთელ ტირში?

„მაგრამ გავიწყდება, რომ იმ მხარემდის ფრენით თუ მივაღწევთ. ფრთები რომ გქონოდა, აქაც კი ჩამოვფრინდებოდით იმ საშიშ ადგილზე, ვიფრენდით სულ მაღლა და აღარც გვექნებოდა რისიმე!

„გამიგონე კიდევ, ჩემო საუნჯევ!

„ჩვენ გადავფრინდებოდით აღმოსავლეთისაკენ, საიდანაც ამოდის ჩვენი ქვეყნის მანათობელი. მე ვიცი გზა: ეგვიპტიდან არაბეთამდე ისე ახლოა, რომ მხოლოდ ვიწრო ხმელეთი ორ-ზღვათა შუა აერთებს ამ ქვეყნებს. ამ ვიწრო ხმელეთის იქით კიდევ ზღვაა და იმის წყალი ხან და ხან წითელია სისხლივით და ცხელი მდუღარესავით. ეს ორი ზღვა ყველაზე საშიშია მთელ დედა-მიწის ზურგზე. ის სავსეა აუარებელი თევზებით, რომლებიც მუდამ თან სდევენ გემებს.

„ამ ზღვათა გადაღმა, კლდიან და სიცხისაგან ამომწვარ არაბეთის იქით, არის საოცნებო, მშვენიერი მხარე, აკვანი კაცობრიობისა, სადაც მიმდინარეობს წმინდა წყალი ინდი საშიში და განგისა.

„იქ არის გაშენებული ლამაზი ქალაქები. სცხოვრობს მშვენიერი ხალხი, შავი, ალმასივით მოკიანთე თვალებით და მუქი სახით. უძველესი ტაძრები ამშვენებენ ქალაქებს. ტაძრის კედლებზე მიკრულია ბრინჯაოს ფიცრები ზედ წარწერით, რომლის მნიშვნელობა მხოლოდ უმთავრეს ქურუმებმა თუ იციან, ამ წმინდა სიბრძნის შემნახველმა ბრამინებმა.

„იქ უძველესი ტყეებია, სადაც ადამიანი ვერა ჰბედავს შესვლას, რადგან იქ არის სამეფო სისხლის მოყვარულ მხეცვეფხვისა, ბოროტ გარეულ ღორებისა და შხამიან ქვე-მძრომებისა. ჭაობიანი ალაგები კი სავსეა გველ-ვეშაპებითა.

— ოხ! რა საშინელებაა! — წამოიძახა ქალმა და მთლად ათრთოლდა.

— ამბობენ ზოგი მცხოვრები ინდოეთისა დიდ პატივსა სცემენ ამ გველ-ვეშაპებს, იმის სახელზე აშენებენ ტაძრებს და მსხვერპლსა სწირავენ მას. ბევრს გასაკვირველს დაინახავს ადამიანი ინდოეთის ტაძრებში, მსხვერპლის შეწირვის დროს. ერთი ახირებული ჩვეულება აქვთ: როდესაც ქმარი კვდება — ცოლმა თავის ნებით უნდა დაიწვას თავი იმ სამსხვერპლოზე, სადაც მიცვალებულ ქმრის გვამი დასწვეს.

— მერე მაგაში ახირებულს რასა ჰხედავ, მირბალ? — წყნარად წარმოსთქვა ქალმა. — შენ რომ მოკვდე — მე რაღად უნდა ვიცოცხლო? რა ფასი ექნება ჩემს სიცოცხლეს უშენოდ?

— ასე გიყვარვარ, ძვირფასო?

— რა კითხვაა? — ჩუმის ყვედრებით უპასუხა ქალმა და მოეხვია თავის საქრმოს.

— ეგრე იყოს, ილისს! — განაგრძო მან ცოტა სიჩუმის შემდეგ და კიდევ აკოცა მშვენიერ თავზე — მაგრამ საშინელება ის არის, რომ იქ ნება-ყოფლობით არა ხდება ასეთი ამბავი. ხან და ხან ქვრივებად რჩებიან მცირე წლოვანები, რადგან ინდოეთში მცირე — წლოვანებს აქორწინებენ. ასეთი ბავშვი ცოლი, სანამ სრული წლოვანი გახდებოდეს, რჩება მშობლებთან და ქმარს თვალითაც ვერა ჰხედავს. და აი კვდება ქმარი. ცოლს, რომელსაც არ უნახავს თავის ქმარი, არც იმისი ხმა გაუგონია როდისმე — მიათრევენ სამსხვერპლოზე დასაწვავად.

— ოხ! — წამოიყვირა ილისსმა. — მე რომ ფრთები მქონდეს და იმ ადგილის ახლო დავფრენდე, სადაც ამ სახით ცრუ-მორწმუნებას სწირავენ მსხვერპლად ნორჩ, უმანკო არსებას — დავეშვებოდი ძირს, დავეცემოდი სამსხვერპლო ცეცხლს და მოვიტაცებდი ბავშვ — ქვრივს? მოვაშორებდი იმას ამ საზარელ მხარეს.

— გამიგონე, ილისს! ამ საოცნებო მხრიდან, ინდოეთიდან, ჩვენ გადავფრინდებოდით აღმოსავლეთისაკენ შორს, შორს ჩვენი ქალაქიდან, სადაც მეფობს მტარვალი ფალესს და იმის ჩამგონებელი ბოროტი იეზაველ. იქ, ინდოეთის გადაღმა ცხოვრობს ძლიერი ხალხი, ყვითელი სახით და ელამ თვალებით.

*) იხ. სურათებიანი დამატება № 124

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალკანეთის ომი ოსმალეთთან.

„ამ ხალხს დიდი, უძლეველი სახელმწიფო აქვს. ისინი თავიანთ მეფეს სახელად ცის შვილს უწოდებენ. იმის სასახლე სიდიდით მთელ ჩვენს ქალაქს უდრის.

„იმათ ბევრი საიდუმლოება აქვთ. სხვათა შორის ერთგვარი თილისმა[1]), რომელიც დღე და ღამ უჩვენებს მათ სამხრეთის და ჩრდილოეთის მხარეებს. ყოველ ხომალდს აქვს ასეთი თილისმა, ამიტომაც ისინი თავისუფლად დასცურავენ, არ ეშინიანთ გზის არევისა, რადგან ეს თილისმა ყოველთვის უჩვენებს საითკენაც უნდა წავიდნენ.

„იმათ იციან შავი ფხვიერის[2]) გაკეთება, რომელიც საოცრად ანათებს და დიდ ხმაურობას გამოსცემს.

„ამბობენ კიდევ ერთ საიდუმლოებაზე: ისინი თურმე აკეთებენ მფრინავ ვეშაპს[3]), რომელიც ჰაერში დაჰფრინავს და მტერს შიშის ზარსა სცემს.

ბულგარეთის მეფე ფერდინანდი.



ბელგრადში სასახლის წინ აუარებელ ხალხს თავი მოუყრია და მეფეს შესძახის: „ბრძოლა ოსმალეთს“.

სოფ. ველიკოვს ჩერნოგორელთა ბატალიონი.

„მაგრამ ყველა ეს ისე საინტერესო არ არის, როგორც ორი საიდუმლო ამ ყვითელ სახიანებისა, ელამ თვალებიანებისა.

— რა საიდუმლოა, მირბალ?—ცნობის მოყვარეობით ჰკითხა ქალმა.

— იმათ სოდნიათ ერთგვარი ჭიების არჩევა, ობობას მსგავსისა. ეს ჭიები[4]) ართავენ უუწმინდეს ქსელს. ქალები ახვევენ ამ ქსელსა, რომელიც ადამიანის თმასავით ბაგარია, ხოლო იმაზე უფრო ბევრად წმინდა. ამ ქსელისაგან აკეთებენ ნაქსოვებს, წმინდას და მსუბუქს ჰაერივით, ამასთანავე ძალიან გამძლეს. იმათ იციან სხვა და სხვა ფრად შეღებვა ამ ნაქსოვისა.

„ეს კიდე ისე არ მიზიდავს, ილისს. ყვითელ სახიანებმა, რამოდენიმე საუკუნეა მას შემდეგ, შეისწავლეს ერთგვარი

სოკოლ-ბაში, ალბანეთის აჯანყებულ თემთა გამოჩენილ ბელადთაგანი.

1) კომპასი. ჩინელები ამბობენ, რომ ჩვენი გამოგონილიაო.

2) ჩინეთის ისტორიულ ნაშთებიდანა სჩანს, რომ **თოფის წამალი** ცნობილი იყო 4000 წლის წინედ.

3) **ჰაეროსტატი.**

4) **აბრეშუმის ჭია.** ევროპაში 1500 წლ. წინად გაიცნეს.

თიხის გაკეთება, რომელიც ალამაზებს ჭურჭელს. ისინი ამას ფაიფურს ეძახიან და ამის გაკეთების საიდუმლოებას მტკიცედ ინახავენ, მაგრამ ფრთები რომ მომცა...

— დიახ, ჩვენ რომ ფრთები გვქონდეს!—წამოიძახა ქალმა ტ ოცნებით გაჰყურებდა სარკმელიდან ჩამავალი მზისაგან წითლად შეღებილ ცას.—იცი, მირბალ, მე დღე და ღამ ვერ ვისვენებ ფიქრისაგან, როგორი საფრთხე მოგელის შენ როგორც უკანასკნელსა და პირდაპირ მემკვიდრეს დიდებულ მეფე ხირაძისას!.. განა შენ არა ხარ ერთად-ერთი მემკვიდრე ტირის სამეფო ტახტისა?

— ჩემო კარგო, მე უარს ვამბობ ამ უფლებაზე!—მწარედ წარმოსთქვა მირბალმა.— რად მინდა ტახტი—რომელიც მორწყულია სისხლით, და რომლის საფეხურებიც სავსეა დახოცილების სხეულებითა.

„რად მინდა სასახლე ფალესისა, სადაც ყოველ კუთხეში მოსჩანან აჩრდილნი ფალესის და იმის ქალის მსხვერპლებისა? განა იქ ვიპოვი ისეთ—ბედნიერებას, როგორიც აქ, მამიშენის ძველ სახლში ვიპოვე?

— იეზაველმა რომ გიძღვნას თავისი გული?

— ოჰ, ილისს!? რად მაგონებ იმ წყეულს? განა არ იცი, რომ ჯერ კიდევ თითქმის ბავშვი ვიყავი, როდესაც უარი ვსთქვი ხელმწის ქალის ასეთ მოწყალებაზე და სასწაულით გადავრჩი დაღუპვას, რადგანაც იეზაველ არა ვის აპატიებს ხოლმე თავის შეურაცხყოფას?!

— ის ისეთი ლამაზია!

— ბოროტია, როგორც დემონი!

— ფალესის ტახტის მემკვიდრე გახდებოდი!

— და ამ ბედნიერებაზე უარი მეთქვა?

— განა ასე ძვირფასი ვარ შენთვის?— ბედნიერი ღიმილით წარმოსთქვა ქალმა და შეჰყურებდა თავის საყვარელს, სიამაყით სავსე ლამაზის თვალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— უფძვირფასესი ხარ იმ ტახტზედაცკი, რომლის უფლებაცა მაქვს მე!

— რომელ ტახტზე ლაპარაკობენ აქა? ეს ვინა ჩივის აქ მეფის უფლებაზე?—გაისმა ტლანქი ხმა.—ახალგაზდები ისე გართულიყვნენ ლაპარაკით გულუბრყვილო ოცნებაზე, რომ ვერც კი შეამჩნიეს კიბეზე ამოსული კაცი, შუა-ხნისა, მხედარი, ბრწყინვალე იარაღით... ეს იყო ფალესის მცველი, იმის ყურმოჭრილი ყმა. ის წყნარად თითქოს კატა ეპარებაო მსხვერპლს, შემოვიდა და მირბალის უკან გაჩერდა. მძულვარებით და ბოროტად შეაჩერდა ახალგაზდა მექანდაქრეს. ჩამავალ მზის სხივებზე ბრწყინავდა იმის ოქროს ჩაჩქანი და სხვა იარაღი, რომლითაც შემოსილი იყო. სახე ულამაზო არა ჰქონდა, მხოლოდ გამომეტყველება—საშიში და მკაცრი.

— ოხ, ღმერთებო!—წამოიძახა შემკრთალმა ილისსმა.—ეს იაკინლუა!

— დიახ, ეს მე ვარ, ჩემო მტრედო!—დაცინვით უპასუხა მოსულმა.—ეს მე ვარ, იაკინლუ, რომელსაც ტირის მცხოვრებნი „მეფის ვეფხს“ ეძახიან! მინდა გავიგო, რაზე ლაპარაკობდით ეხლა? ყური მოვკარი. რაღაც ტახტის უფლებას ახსენებდნენ... ეს შენა, მირბალ? შენ უფლობ ჩემი მბძანებლის ტახტსა? შენ უთხრი ძირს დიდებულ ფალესს?

— მე?—გაოცებით ჰკითხა ყმაწვილმა.—ხომ არ გაგიჟდი? მე სულაც არა მსურს მეფის გვირგვინი...

— ნუ თუ? მერე ვინ გაძლევს, ჩემო ბავშვო? ან რა უფლებით? ჰო, მართლა, გამახსენდა. სულ შენზე ჩურჩულებს თითქმის ნახევარი შავი ხალხი დიდებულ ტირისა? შენ ხომ მირბალ ებინ-გაფარი ხარ, მაგალის შვილი, და მაგალი იყო შვილის-შვილი ხირამისა... მინდოდა გამეგონა რაზე ჩურჩულებენ შეყვარებული მტრედები და დიადი სახელმწიფო საიდუმლოკი გამოვაშკარავე... შეთქმულობას წავაწყდი ჩვენს დიდებულ ფალესის სიცოცხლეზე.

— გონს მოდი, რას ლაპარაკობ?—წამოიძახა გაფითრებულმა ილისსმა—მირბალს არაფერი არა სურს, მყუდრო და მოსვენებით ცხოვრების გარდა...

— და კიდევ შენი დასაკუთრება—ცოლად! მამიშენის სიმდიდრის ხელში ჩაგდებაც!.. მაგრამ ეს არ მოხდება! გესმის, ეს არ იქნება!

— რატომ?—წაიჩურჩულა ილისსმა ათრთოლებული ტუჩებით.

— იმიტომ რომ შენ ჩემი საკუთრება იქნები, ჩემი „მეფის ვეფხისა“ და არა ვიღაც მექოთნისა!

— მე შენ ვერასოდეს ვერ შეგიყვარებ!

— შემიყვარებ!

— მე შენ მეზიზღები!

— ეს არ დამიშლის შენს დასაკუთრებას! და შენ... ის მიუბრუნდა მირბალს, რომელიც გაქვავებულივით იდგა.—მე შენ გაგსრეს ჭიასავით!

— არა მგონია!— გაისმა კუთხიდან ვიღასიც დამცინავი ხმა. სამივემ მიიხედეს ამ ხმაზე. სახელოსნოს კარებში დაინახეს მოხუცი, თალხი ქურუმის ტანსაცმელში გამოწყობილი, სახე ჰქონდა მკრთალი, თითქოს ქანდაკის, აწეწილი ჭაღარა წვერები, თვალები კი ახალგაზდურ ცეცხლით უკრთოდა.

იაკინლუმ, დაინახა თუ არა ქურუმი, განზე გადგა, თითქოს საშინელი მოჩვენება წარმოუდგა თვალწინ, შემდეგ ერთი დაიყვირა და ხმალ-ამოწვდილი მიიწია მისკენ. მაგრამ მოხუცი ქურუმი უფრო მარდი გამოდგა მხედარზე—ის განზე გადუხტა მას, სისწრაფით აიცილა ხმალი და ისე მძლავრად წაავლო მკლავში ხელი, რომ იაკინლუმ ერთი საშინლად დაიკვნესა და ხმალი ხელიდან გავარდა.

— გამიშვი!—ღმუოდა ის და იკლაკნებოდა ხმლის ასაღებად. მაგრამ მოხუცმა ფეხი დაადგა ხმალს და მაგრად ეჭირა ჯაშუში.

— გამიშვი, მეთქი, მოხუცო! თორემ...

— თორემ მეც გამსრეს ჭიასავით, განა?.. აბა სინჯე ერთი!?

მოხუცი, ეტყობოდა, არაჩვეულებრივი ძალის პატრონი იყო. მან ისეთის ძალით მოიქნია ჯაშუში, რომ ის რეტ-დასხმული რამდენჯერმე შემოტრიალდა და სიბრაზისაგან ჩახლეჩილი ხმით ამოიკვნესა.

— გაეთრიე ამ სახლიდან! დაუყვირა მოხუცმა. შე მხამიანო გველო! მორიელო! იცოდე ისინიც ისრისებიან ადამიანთა ფეხ-ქვეშ!

დამცირებულს და გაბრაზებულ მხედარს დაავიწყდა ხმალი და საჩქაროდ გაძვრა სახელოსნოდან. შემდეგ მოხუცი მფარველი მიუბრუნდა ახალგაზდებს:

— უნდა გაიქცეთ აქედან, თორემ დაიღუპებით!

— მე ხომ ტირის კანონების საწინააღმდეგო არა ჩამიდენია-რა?!—წამოიძახა შეწუხებულმა ყმაწვილმა.

— განა ტირში ეხლა კანონი სუფევს?—მწარედ უპასუხა მოხუცმა.—განა ფალესის მეფობის დროს შეიძლება კანონებზე ლაპარაკი?

— ოო, ჩემო ჭაბუკო! ღმერთებმა ხელი აიღეს ტირზე. ღმერთებს დაავიწყდათ თავის საბრალო ხალხი! რა ბედნიერი იყო ამაყი ტირი, როდესაც მას მმართველობდა დიდებული ხირამი! ის შიშის ზარსა სცემდა მტრებს და სიყვარულს უნერგავდა მეგობრებს. ხირამი მეგობარი იყო ებრაელთა დიდებულ ფილოსოფოსის და მეფე—პოეტის სოლომონისა, ეხმარებოდა მას მთელ ქვეყნიერებაზე უდიდეს ტაძრის აშენებაში ერთი ღმერთის სახელის სადიდებლად.

„ხირამი სასარგებლო პირობით შეეკრა ეგვიპტის ფარაონს, რომლის წყალობითაც, ჩვენი ქვეყნის ნაწარმოებს თავისუფალი გასავალი ჰქონდა იმ, მხარეზე. წესიერება და მშვიდობა სუფევდა ყოველგან. საქარავნო გზებს დარაჯობდნენ ცხენოსანნი და აქლემოსანნი მხედარნი—და მტაცებლები ახლოს ვერ მიეკარებოდნენ მგზავრის საქონელს. ოქრო და სიმდიდრე უხვად შემოდიოდა ჩვენს მხარეში და ბოროტებას ალაგი არა ჰქონდა. ყველა ჰპოულობდა სასარგებლო საქმეს და უზრუნველად ცხოვრობდნენ. თუ ვინმე ჩაიდენდა დანაშაულს სასტიკად ისჯებოდა თვითონ ხალხისაგან არჩეულ მსაჯულების გადაწყვეტილებით.

„მაგრამ ყველა ეს ოდესღაც იყო, წავიდა ის დრო. ღმერთებმა პირი იბრუნეს ჩვენგან. ვინა სჯის ეხლა ხალხს და ვინ ასამართლებს? გადმოხვეწილები, სასახლის მსახურნი, ქრთამით ამაღლებულნი, ფალესის ბძანების აღმასრულებელნი. ისინი ამართლებენ—ვინც ბევრს ქრთამს მისცემს და ვაი იმას, ვისაც არაფერი გააჩნია. ამ მექრთამეთა ხელშია უმეტესი ნაწილი სიმდიდრისა და ჩვენი მხარე თანდათან ეცემა. ვაჭრობასა და მრეწველობას ბოლო ეღება. გავრცელდა ჯაშუშობა. მამა შვილს უჩივის, დედა შვილსა ჰყიდის... ნახევარი ჩამორთმეული ქონება ჯაშუშის ხელში გადადის. და ტირიდან გარბიან ისინი, ვინც ოდესმე საერთო კეთილდღეობისთვის ზრუნავდა. იმათ თავი დააღწიეს უსამართლობას და ეხლა ბევრს შეხვდებით გადასახლებულებს ელლადის კუნძულებზე, იტალიაში. ამ უცხო მხარეში იმათი ცხოვრება ძლიერს ნაყოფს გამოიღებს, მაშინ, როდესაც აქ დამყარდება სასაძაგლე და კერძოობითი ფუფუნება. ამაყი ტირი სასაფლაოდ გადაიქცევა. იმის ნანგრევებზე გამხეცებული ძაღლები და მაწანწალები ერთმანეთს დაჰგლეჯენ დამპალი ძვლებისა და ლეშისათვის.

ცოტა სიჩუმის შემდეგ მოხუცი მიუბრუნდა ახალგაზდებს.

— დრო მიჰქრის და საშიშ მდგომარეობას ყოველ წუთს უნდა ელოდეთ. აქ ახლოს რომ სადმე მეგულებოდეს ის გველი,—მე იმას გავსრესდი. ის უთუოდ დროს არ დაჰკარგავს, რომ დაგაბეზღოთ თავის ბატონთან შენ, მირბალ და შენი საცოლე, რომლის ხელში ჩაგდება მოუსურვებია იმ მხეცს. მაშ, მხოლოდ ერთი ღა დაგრჩენიათ—გაიქცეთ, რაც შეიძლება მალე.

— რას იტყვის მამა?—წამოიძახა ილისმა.

— ის ჩემს რჩევას დაიჯერებს.—უპასუხა ქურუმმა.

— ვინა ხარ შენ, ჩვენო მხსნელო?—ჰკითხა მირბალმა.

პასუხის ნაცვლად, მოხუცმა მხრები აიწია, სახე ჩაუბნელდა.

— ერთს დროს მეცა მქონდა სახელი.—სთქვა მან.—მაგრამ დიდი ხანია ის ამოიშალა ადამიანის ხსოვნიდან... ეს იმ დროს იყო, როდესაც ტირს მმართავდა აზერიმი...

(შემდეგი იქნება)

ეფ. მესხი.

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა 12. რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.